საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა

თარიღი: 5 -8 აგვისტო, 2023 წელი

დრო: 17:00 - 18:00

შეხვედრის ადგილი: Zoom

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხობაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
2. ნათია კუპრაშვილი - ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი
3. ლაშა ტუღუში - ლიბერალური აკადემია თბილისი
4. კონსტანტინე ჟღენტი - საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია
5. ქეთევან ცხაკაია - იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი ,,სპექტრი”
6. ცირა მესხიშვილი - ასოციაცია ტოლერანტი
7. ნუგზარ კოხრეიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“
8. ირინა ფუტკარაძე - საზოგადოებრივი დამცველი

განსახილველი საკითხები:

1. ფორუმის დღის წესრიგის განხილვა

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა მმართველი კომიტეტის თავმჯდომარე, ნინო ჩხობაძემ.

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს ეროვნული კოორდინატორი, ნათია კუპრაშვილი, რომელმაც მოკლედ მიმოიხილა ფორუმის ყოველწლიური შეხვედრის მომზადების პროცესთან დაკავშირებული საკითხები. მიმდინარე წლის ნოემბერში, ბრიუსელში გაიმართება აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორუმი.
ფორუმის სამდივნომ, მმართველ კომიტეტთან ერთად, შეიმუშავა ფორუმის შეხვედრის დღის წესრიგის პირველადი, სამუშო ვერსია, რომელიც მსჯელობისა და განხილვისთვის მიეწოდა ეროვნული პლატფორმების სამდივნოებსა და საკოორდინაციო საბჭოს წევრებს.

საკოორდიანციო საბჭოს შეხვედრაზე, წევრებმა იმსჯელეს დღის წესრიგით გაწერილ საკითხებზე, და იმ მომხსენებლებზე, რომელიც ეროვნული პლატფორმის მხრიდან უნდა იყოს წარდგენილი თითოეულ პანელში. შინაარსობრივი დისკუსიის ფორმატით იყო განხილული ყველა სესიის თემატიკა. საკოორდინაციო საბჭო შეთანხმდა საქართველოს მხრიდან წარსადგენ მომხსენებლებზე ყველა რელევანტური პანელისთვის და ინფორმაცი გადაიგზავნება ფორუმის სამდივნოში.

საბჭოს წევრები ასევე შეიმუშავებენ სამმხრივი პანელის შესახებ შინაარსობრივ თემატიკას და შეარჩევენ მომხსენებლებს. დეტალური ინფორმაცია, სამმხრივი პანელის თემატიკისა და მომხსენებლები შესახებ, მომდევნო კვირაში გადაიგზავნება ფორუმის სამდივნოში.

ერთსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე